



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2012 წლის 6 ივლისის
 N733 დადგენილებით

მოდიფიცირებულია
 2022 წლის 27 მაისის
 № 01-05-04/58 დადგენილებით

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

მშენებლობა
Construction

ფაკულტეტი

სამშენებლო
Construction

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

პროფესორი დავით გორგიძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

<p>მშენებლობის ინჟინერიის დოქტორი Doctor of Construction Engineering</p> <p>მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის არანაკლებ 55 კრედიტის და კვლევითი კომპონენტის შესრულების შემთხვევაში. სწავლის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წელი.</p>

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

<p>მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომი. მხედველობაში მიიღება სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.).</p> <p>პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს: კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება; სავალდებულოა ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატის/დოკუმენტის წარმოდგენა. აპლიკანტი, რომელიც ვერ წარმოადგენს აღნიშნულ სერტიფიკატს, ვალდებულია ტესტირება გაიაროს სტუ-ს კომპიუტერულ ცენტრში ინგლისურ ენაში. აპლიკანტებს, რომლებსაც ერთ-ერთი საფეხურის უმაღლესი განათლება მიღებული აქვთ ინგლისურ ენაზე გამოცდის ჩაბარება ან სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ;</p>

ინგლისურ ენაში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში აპლიკანტი გადის გასაუბრებას საფაკულტეტო დროებით კომისიასთან.

დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: <https://gtu.ge/>

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია, მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.

https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/brZ_10n_16032018_SD.pdf

საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

პროგრამის აღწერა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“ წარმოადგენს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელი კვალიფიკაციის მე-8 დონის განზოგადებულ სწავლის შედეგებს.

პროგრამა შედგენილია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემით (ECTS). საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში. პროგრამის ხანგრძლივობაა არა ნაკლებ 3 წელი (6 სემესტრი). მისი სასწავლო კომპონენტი შედგება 55 კრედიტისაგან.

სადოქტორო პროგრამის „მშენებლობის“ სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან, რომელიც დოქტორანტმა უნდა გაიაროს პირველ, მეორე და მესამე სემესტრში. სავალდებულო სასწავლო კურსების მოცულობაა - 40 კრედიტი, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსების მოცულობა - 15 კრედიტი.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის მიზანია, საქართველოს სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად, მოამზადოს მაღალკვალიფიკაციური სამეცნიერო კადრები, რომლებსაც აქვთ უნარი დამოუკიდებლად განახორციელონ თანამედროვე, უახლეს მეთოდოლოგიებზე დამყარებული ორიგინალური, ინოვაციური კვლევები და ჩაერთონ საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში.

კვლევითი კომპონენტის ელემენტები/ეტაპები

საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის წარმართვის/განხორციელების სავალდებულო ელემენტები/ეტაპებია: **პროექტი/პროსპექტუსი; კოლოკვიუმი - 1; კოლოკვიუმი - 2; კოლოკვიუმი- 3; წინასწარი დაცვა; დისერტაციის დასრულება და დაცვა.**

სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი

- სწავლების პირველი წლის მეორე სემესტრში დოქტორანტი ამზადებს კვლევის პროექტს/პროსპექტუსს.
- კვლევის პროექტი/პროსპექტუსი მოიცავს დოქტორანტის მიერ სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებას, კვლევისათვის აუცილებელ ძირითად ბიბლიოგრაფიასა და საკითხის კვლევის ისტორიას. დოქტორანტმა მოკლედ უნდა მიმოიხილოს თუ რა არის გაკეთებული ამ მიმართულებით და რა კეთდება ამჟამად (ვინ მუშაობს და რა მიმართულებით). პროსპექტუსში უნდა ჩანდეს საკვლევი საკითხის სიახლე და აქტუალობა, შერჩეული თემის სამეცნიერო და თეორიული/პრაქტიკული ღირებულებების ლოგიკური განმარტება და დასაბუთება.
- პირველი წლის მეორე სემესტრის ბოლოს დოქტორანტი კვლევის პროექტს/პროსპექტუსს წარადგენს შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე. სხდომის ოქმის

(რეკომენდაციებით) ამონაწერი და წარდგენის აუდიო-ვიდეო ჩანაწერი ელექტრონულ მატარებელზე (CD) ინახება დოქტორანტის პირად საქმეში. დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში დოქტორანტი აგრძელებს კვლევას.

კოლოკვიუმი

- თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე დოქტორანტს სწავლების მესამე, მეოთხე და მეხუთე სემესტრის განმავლობაში ევალება სამი კოლოკვიუმის მომზადება. კოლოკვიუმები უნდა ასახავდეს დოქტორანტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს.
- კოლოკვიუმის ძირითადი მიზანია დოქტორანტის ცოდნის სისტემატიზაცია, გაწეული მუშაობის წარმოდგენა/პრეზენტაცია, დოქტორანტის შემოქმედებითი აზროვნების წარმოჩენა, სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის აუცილებელი უნარის გამომუშავება.
- კოლოკვიუმი უნდა ასახავდეს თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს. კოლოკვიუმში დოქტორანტმა უნდა წარმოაჩინოს, რა მოცულობითა და სიღრმითაა გამოკვლეული კონკრეტული საკითხი (კვლევის ხარისხი), ჩატარებული კვლევების საფუძველზე მიღებული შედეგებიდან გააკეთოს დასკვნები და განსაზღვროს მუშაობის შემდგომი მიმართულება; წარმოაჩინოს მიღებული და მოსალოდნელი შედეგები; გააკეთოს გამოსაქვეყნებლად მომზადებული ან გამოქვეყნებული პუბლიკაციების ანალიზი.
- დოქტორანტის მუშაობა კოლოკვიუმზე ძირითადად მიმდინარეობს ხელმძღვანელთან კონსულტაციების (მათ შორის „ონლაინ“ რეჟიმში) და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში.
- კვლევის მოცემულ ეტაპებზე მიღებული შედეგები წარედგინება აკადემიურ დეპარტამენტს. დეკანი, აკადემიური დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით, ქმნის 5-7 წევრისგან შემდგარ კომისიას, რომელშიც უნდა შედიოდეს აკადემიური პერსონალი. კომისიის შემადგენლობა მტკიცდება საფაკულტეტო ბრძანებით. კომისიის მუშაობას უნდა დაესწროს დოქტორანტის ხელმძღვანელიც. კომისიაზე დოქტორანტი წარმოადგენს კვლევის მოცემულ ეტაპზე მიღებულ შედეგებს (20–25 წუთი).
- თითოეული კოლოკვიუმის კომისიის მიერ დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, დოქტორანტი აგრძელებს კვლევას. კოლოკვიუმის უარყოფითი რეკომენდაციის შემთხვევაში დოქტორანტი განმეორებით წარადგენს ნაშრომს არსებული წესის შესაბამისად. თითოეული კოლოკვიუმის ჩატარება ფორმდება ოქმით. კოლოკვიუმის პრეზენტაცია იწერება ელექტრონულ მატარებელზე (CD კომპაქტ დისკზე) და ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.

დისერტაციის წინასწარი დაცვა

- დისერტაციის დასაცავად წარდგენის წინაპირობაა, სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი დაცვა მეექვსე სემესტრის მერვე/მეცხრე კვირაში, აკადემიური დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე. მიზანშეწონილია შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტების მოწვევა.
- დოქტორანტი სხდომას მოახსენებს ნაშრომის ძირითად დებულებებსა და მიღებულ შედეგებს. აყალიბებს სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობას, სამეცნიერო სიახლეს, პრაქტიკულ ღირებულებას. წარმოაჩენს სადისერტაციო ნაშრომში დასმულ პრობლემასა და მისი გადაწყვეტის გზებს. დოქტორანტი პასუხობს სხდომის მონაწილეთა მიერ დასმულ შეკითხვებს. წინასწარი დაცვის დროს დოქტორანტმა შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერი ტიპის აუდიო/ვიზუალური მასალა. წინასწარი დაცვის შედეგები ფორმდება ოქმით, რომელზეც ხელს აწერენ დეპარტამენტის უფროსი და დამსწრე წევრები. წინასწარი დაცვის მიმდინარეობა ჩაიწერება ელექტრონულ მატარებელზე (CD კომპაქტ დისკზე), რომელიც ინახება სტუდენტის პირად საქმეში. დოქტორანტის საქართველოში არყოფნის ან დოკუმენტურად დასაბუთებული სხვა საპატიო მიზეზის შემთხვევაში, რექტორის გადაწყვეტილებით, წინასწარი დაცვა შესაძლებელია განხორციელდეს ონლაინ რეჟიმში.

დისერტაციის დაცვა

- დისერტაციის დაცვა (შემდგომში დაცვა) ტარდება საჯაროდ, სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.
- **სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად**, იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მუშაობას. სტუდენტს, რომელიც ვერ მოასწრებს შეფასებაზე გასვლას მიმდინარე სემესტრის სესიების ვადებში, ჩაბარების უფლება მიეცემა დამატებითი გამოცდების პერიოდში, ან მომდევნო სემესტრში, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს, დასკვნითი ან დამატებითი გამოცდების დამთავრებამდე.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი იხილეთ შემდეგ ელექტრონულ ბმულზე:

https://gtu.ge/Science/PhD_pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi_2020.pdf

- დისერტაციის დაცვაზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელმაც შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი, დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე გააკეთა მოხსენება დისერტაციის შესახებ (წინასწარი დაცვა), სადისერტაციო საბჭოს წარუდგინა საჭირო დოკუმენტაცია (სტუ-ის საუნივერსიტეტო საბჭოს დებულების მე-8 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები), ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დასრულებული დისერტაციისა და ავტორეფერატების ეგზემპლარები.

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მშენებლობის ინჟინერიის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნით და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით მოამზადოს, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი, კვლევის დაგეგმვის და განხორციელების უნარის მქონე, სამშენებლო ინდუსტრიის სფეროში კვლევის სტრატეგიულ მიმართულებებზე ორიენტირებული მკვლევარები.

მიზანი 1: შესძინოს კურსდამთავრებულებს მშენებლობის ინჟინერიის სფეროს, საჯარო (საზოგადოებრივი), კომერციული, ინდუსტრიული და საცხოვრებელი სტრუქტურების (ასევე მათი აღჭურვის) მონტაჟის, აგებისა და მათი შენარჩუნების ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავების, კვლევის და გამოყენების უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა.

მიზანი 2: შესძინოს კურსდამთავრებულებს აკადემიური/პედაგოგიური საქმიანობის, აგრეთვე სამშენებლო ინჟინერიის სფეროში ინოვაციური კვლევის განხორციელების უნარი, ჩამოყალიბოს სფეროს მუდმივად განვითარებაზე ორიენტირებული ხედვა და განუვითაროს შესაბამისი უნარები აკადემიურ და სფეროს მკვლევართა საზოგადოებაში თავისუფლად ინტეგრაციისათვის.

მიზანი 3: შესძინოს კურსდამთავრებულებს მშენებლობის ინჟინერიის დარგის წინაშე მდგარი გლობალური სოციალური, ეკოლოგიური და/ან ეკონომიკური გამოწვევების ანალიზის, შეფასების, გადაწყვეტის უნარი ხელმძღვანელობითი, აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1. მშენებლობის ინჟინერიის სფეროს უახლეს საინჟინრო-ტექნოლოგიურ მიღწევებზე დამყარებული ცოდნით და სფეროს სისტემური/კრიტიკული გააზრებით, განსაზღვრავს ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობებს, როგორც მულტიდისციპლინურ, ისე ინტერდისციპლინურ კონტექსტში.
2. მშენებლობის ინჟინერიის სფეროში აღიარებული თეორიებისა და იდეების სრულფასოვანი შეჯერებით, ინოვაციური მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებით, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების ზედმიწევნით დაცვის პირობებში გეგმავს და ახორციელებს კვლევით საქმიანობას.
3. სფეროში აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, ახალი ანალიტიკური მიდგომების გამოყენებით შეიმუშავებს ან განახორციელებს, განავითარებს საჯარო საზოგადოებრივი, კომერციული და/ან ინდუსტრიული და საცხოვრებელი სტრუქტურების მონტაჟის, აგებისა, შენარჩუნების მეცნიერებას, თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ტექნიკას.
4. ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეების, მიდგომების, თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული ანალიზის, სინთეზის და შეფასების საფუძველზე, კვლევის მიზნებისათვის,

დამოუკიდებლად ღებულობს მშენებლობის ინჟინერიის დარგში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის სწორ და ეფექტურ გადაწყვეტილებას.

5. სფეროში არსებულ თეორიებსა და კონცეფციებთან ურთიერთკავშირში, მკაფიოდ აყალიბებს საკუთარ კვლევის შედეგებს/მოსაზრებებს კოლეგებისა და ფართო საზოგადოებისთვის, საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციის მაღალი სტანდარტის დაცვით და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში სათანადო მონაწილეობით, აგრეთვე ცოდნის გადაცემაზე ორიენტირებული აკადემიური საქმიანობისას.
6. დამოუკიდებლად ახორციელებს მშენებლობის ინჟინერიის სფეროს ინოვაციურ საინჟინრო-ტექნოლოგიურ მიღწევებზე დამყარებულ პრაქტიკულ და სამეცნიერო კვლევით საქმიანობას, აკადემიური და ხელმძღვანელობითი კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული
 თემატური სემინარი კონსულტაცია დამოუკიდებელი მუშაობა დისერტაციის დასრულება და დაცვა.

სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), ევრისტიკული სწავლება, შემთხვევების შესწავლა, გონებრივი იერიში (Brain Storming), როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, წერითი მუშაობა, ახსნა-განმარტება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია.

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსის სწავლებისას სტუდენტის მოსწრება ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასების სისტემის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების პროგრამებით (სილაბუსებით) გათვალისწინებული საკითხების ათვისება ფასდება 100-ქულიანი სისტემით. სასწავლო კურსი დოქტორანტს ჩაბარებულად ეთვლება, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგად დააგროვებს 51 და მეტ ქულას. შუალედურ შეფასებებში არანაკლებ 30 ქულის მიღების შემთხვევაში დოქტორანტი მიიღებს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლებას.

სასწავლო კომპონენტის შეფასება:

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩააბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება:

- ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის შეფასების სისტემის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ბმულზე:

https://gtu.ge/Science/PhD_pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi_2020.pdf

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება ხდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა მოცემულია ბმულზე:

https://gtu.ge/Science/PhD_pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi_2020.pdf

დასაქმების სფერო

პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმებას წამყვან თანამდებობებზე საზოგადოებრივი, კომერციული, ინდუსტრიული და საცხოვრებელი სტრუქტურების (ასევე მათი აღჭურვის) მშენებლობების ხელმძღვანელ პოზიციებზე, სადაც ანხორციელებენ ინფრასტრუქტურისა და მდგრადი განვითარების პროექტებს, კერძოდ: მონტაჟის აგების და მათი შენარჩუნების ტექნოლოგიებს, რომლითაც იქმნება საოფისე, სამრეწველო, ადმინისტრაციული, საზოგადოებრივი და საცხოვრებელი შენობები, საავტომობილო გზები, რკინიგზები, ხიდები, გვირაბები, აეროდრომები, წყალმომარაგების სისტემები და ჰიდროტექნიკური ნაგებობები. კურსდამთავრებულები იმუშავებენ სამშენებლო კომპანიებში და კორპორაციებში, საინჟინრო საკონსულტაციო, საზედამხედველო და საინსპექციო ფირმებში, სამთავრობო სააგენტოებში, მერიებში და სამინისტროებში ინფრასტრუქტურულ, საზედამხედველო და ურბანული განვითარების სამსახურებში, ასევე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსის) ავტორები და დოქტორანტების ხელმძღვანელები გამოირჩევიან მაღალი ხარისხის სამეცნიერო და აკადემიური გამოცდილებით. დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა ხელმძღვანელად ყავდეთ, როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ასევე მოწვეული უცხოელი პროფესორები, სტუ-ს პარტნიორი წამყვანი უცხოური უნივერსიტეტებიდან.

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით: მაღალი ხარისხის თანამედროვე კვლევითი ლაბორატორიებით, სასწავლო ინვენტარით, ბიბლიოთეკით და ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდით, კომპიუტერული კლასებით, კომპიუტერული პროგრამებით, უწყვეტი ინტერნეტით.

დამატებითი ინფორმაცია პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ მოცემულია თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 18

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი					
			I წელი		II წელი		III წელი	
			სემესტრი					
			I	II	III	IV	V	VI
	ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები (სავალდებულო)		30	25				
1	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა	არ აქვს	4					
2	სამეცნიერო კვლევის მეთოდები მშენებლობის ინჟინერიაში	არ აქვს	5					
3	სწავლების მეთოდები	არ აქვს	6					
4	სამშენებლო ინოვაციური პროექტების მართვის მეთოდები	არ აქვს	5					
5	რიცხვითი ანალიზი მშენებლობაში	არ აქვს	5					
6	მეცნიერული ექსპერიმენტის დაგეგმვა და სტატისტიკური ანალიზი	არ აქვს	5					
7	პროფესორის ასისტენტობა	სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი		10				
8	ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები (არჩევითი)			15				
8.1.	ანტიისმური პასიური და აქტიური სისტემები მშენებლობაში	არ აქვს		5				
8.2.	მალლივი შენობა-ნაგებობების მშენებლობის თავისებურებანი	რიცხვითი ანალიზი მშენებლობაში		5				
8.3.	დრეკადობის და პლასტიკურობის გამოყენებითი თეორია	არ აქვს		5				
8.4.	სივრცითი კონსტრუქციების მდგრადობა	რიცხვითი ანალიზი მშენებლობაში		5				
8.5.	მშენებლობის თანამედროვე მეთოდები საგზაო ინფრასტრუქტურაში	არ აქვს		5				
8.6.	სტრუქტურულ-კომპოზიციური და ტექნოლოგიური თავისებურებანი მშენებლობაში	არ აქვს		5				
8.7.	კლდოვანი ქანების მექანიკის თავისებურებანი ჰიდროტექნიკურ მშენებლობაში	რიცხვითი ანალიზი მშენებლობაში		5				
8.8.	ნაპირდამცავი საინჟინრო ნაგებობების მშენებლობა	რიცხვითი ანალიზი მშენებლობაში		5				
8.9.	სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზის თანამედროვე მეთოდები	არ აქვს		5				
8.10.	ისტორიულ-კულტურული ძეგლების მონიტორინგი და დიაგნოსტიკა	არ აქვს		5				

8.11	თანამედროვე ენერგოეფექტური ტექნოლოგიები მშენებლობაში	არ აქვს	5					
9	კვლევითი კომპონენტი							

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ESTS კრედიტი/საათი	საათი							
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუამდგომლობის გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1	EDU10312G1-LS	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა	4/100	15	15				2	4	64
2	AAC83201G1-LS	სამეცნიერო კვლევის მეთოდები მშენებლობის ინჟინერიაში	5/125	30	15				1	1	78
3	EDU10912G1-LS	სწავლების მეთოდები	6/150	30	30				2	2	86
4	AAC39801G2-LS	სამშენებლო ინოვაციური პროექტების მართვის მეთოდები	5/125	15	30				1	1	78
5	ICT23601G2-LS	რიცხვითი ანალიზი მშენებლობაში	5/125	30	15				2	2	76
6	AAC42001G3-LS	მეცნიერული ექსპერიმენტის დაგეგმვა და სტატისტიკური ანალიზი	5/125	15	30				1	1	78
7	AAC38401G2-LS	პროფესორის ასისტენტობა	10/250								
8	სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებული სპეცკურსები (არჩევითი საგნების ბლოკი)										
8.1.	AAC38501G2-LS	ანტისეისმური პასიური და აქტიური სისტემები მშენებლობაში	5/125	15	30				1	1	78
8.2.	AAC39101G2-LS	მაღლივი შენობა-ნაგებობების მშენებლობის თავისებურებანი	5/125	15	30				1	1	78
8.3.	PHS22701G1-LS	დრეკადობის და პლასტიკურობის გამოყენებითი თეორია	5/125	15	30				1	1	78
8.4.	AAC85401G1-LS	სივრცითი კონსტრუქციების მდგრადობა	5/125	15	30				1	1	78
8.5.	AAC42101G3-L	მშენებლობის თანამედროვე მეთოდები საგზაო ინფრასტრუქტურაში	5/125	45					1	2	77
8.6.	AAC38601G2-LS	სტრუქტურულ-კომპოზიციური და ტექნოლოგიური თავისებურებანი მშენებლობაში	5/125	15	30				1	2	77

8.7.	AAC42201G3-LP	კლდოვანი ქანების მექანიკის თავისებურებანი ჰიდროტექნიკურ მშენებლობაში	5/125	30		15			1	1	78
8.8.	AAC33101G1-LS	ნაპირდამცავი საინჟინრო ნაგებობების მშენებლობა	5/125	30	15				1	1	78
8.9.	AAC38901G2-LS	სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზის თანამედროვე მეთოდები	5/125	15	30				1	1	78
8.10	AAC39001G2-LS	ისტორიულ-კულტურული ძეგლების მონიტორინგი და დიაგნოსტიკა	5/125	15	30				1	2	77
8.11	AAC39701G2-LP	თანამედროვე ენერგოეფექტური ტექნოლოგიები მშენებლობაში	5/125	30		15			1	1	78

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

დავით გორგიძე

სამშენებლო ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
ხელმძღვანელი

მარინა ჯავახიშვილი

სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი

ზურაბ გვიშიანი

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

დავით მახვილაძე

მიღებულია

სამშენებლო ფაკულტეტის
საბჭოს სხდომაზე ოქმი № 4
04.07. 2012 წ.

მოდიფიცირებულია

სამშენებლო ფაკულტეტის
საბჭოს სხდომაზე
ოქმი N4. 23.05.22წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ზურაბ გვიშიანი